ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე

სხდომის

ო ქ მ ი # 3

ქ. ონი 8. 08. 2023 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე ბაჩანა მარკოიშვილი.

ბიუროს 13 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 11 წევრი: ბაჩანა მარკოიშვილი, ალავერდ ხვედელიანი, გიორგი მარკოიშვილი, გივი მეტრეველი, ვასილ მეტრეველი, ლევან ორდინიძე, სერგო ლობჯანიძე, სონია გუგეშაშვილი, მამუკა ყავლაშვილი, ვლადიმერ ბერელიძე, თეიმურაზ ცეცაძე.

არ ესწრებოდნენ: ნოდარ ბურდილაძე, ზურაბ ბენდიანიშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს აპარატის უფროსი ალექსანდრე კერვალიშვილი, მერის მოადგილე ლევან შერაზადიშვილი, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი თინათინ ბროლაშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1.ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი: ლევან შერაზადიშვილი-მერის მოადგილე
თანამომხს. თინათინ ბროლაშვილი-მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი/

დღის წესრიგი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე-ყველა, წინააღმდეგი-არცერთი

დამტკიცდა დღის წესრიგი

მოისმინეს:1. ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი: ლევან შერაზადიშვილი-მერის მოადგილე
თანამომხს. თინათინ ბროლაშვილი-მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი/

თანამომხსენებელმა სხდომას გააცნო დადგენილების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ და აღნიშნა, რომ შოვში, 3 აგვისტოს მომხდარ სტიქიურ მოვლენებთან დაკავშირებით, კულტურული ღონისძიების, კერძოდ, ონელობის თანხა, 60 000 ლარი გადატანილი იქნეს სარეზერვო ფონდში, რაც არ იწვევს ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ზრდას.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

გადაწყდა: წარმოდგენილი დადგენილების პროექტი შეტანილი იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ბაჩანა მარკოიშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე